

### პოპ-და როკ-მუსიკის საცყისები მუსიკის პირველადი გიჩარული ფუნქციის შექმნა

ჩემი მოხსენება შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილში მე განვიხილავ თანამედროვე პოპულარული მუსიკის უკვე არსებულ დაყოფას ორ სტილურად განსხვავებულ ჯგუფად: პიპ-მუსიკად და როკ-მუსიკად. მოხსენების მეორე ნაწილში მე შევეცდები პოპულარული მუსიკის ეს ორი სტილი დაფუკავშირო ადამიანური მუსიკის პირველად ბინარულ ევოლუციურ ფუნქციას.

სანამ გადავალ მოხსენების ორ ცენტრალურ მონაკვეთზე, მიხდა გავაკეთო პატარა შესავალი, სადაც კარგი იქნება გავიხსენოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც აკავშირებს ტრადიციულ (ხალხურ) მუსიკას თანამედროვე პიპ- და როკ-მუსიკასთან.

1. ხალხური მუსიკის მატარებლებსა და შემქმნელებს, ისევე, როგორც პიპ და როკ მუსიკოსებს, როგორც წესი, არ აქვთ მიღებული აკადემიური მუსიკალური განათლება და არ ფლობენ მუსიკალური დამწერლობის უნარს. კლასიკურად განათლებული მუსიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც წლების განმავლობაში სწავლობენ კომპოზიციის, ჰარმონიის, პოლიფონიისა და გაორკესტრების პრინციპებს და წესებს, ისინი მისდევენ „ყურის“ დიქტატს: „თუ მოგწონს — გამოიყენენ!“

2. ისტორიული წარსულის დიდი ნაწილის განმავლობაში, ხმის ჩაწერის თანამედროვე ტექნოლოგიის გამოჩენამდე, ხალხური და პიპ-როკ-მუსიკოსები გადასცემდნენ რეპერტუარსა და სხვა არსებულ ცოდნას მხოლოდ ზეპირად, რის საფუძველზე იქმნებოდა ორიგინალური სიმღერის მრავალი ვარიანტი;

3. ხალხური და პიპ-როკ-მუსიკოსები ხშირად ერთად ქმნიან ორიგინალურ კომპოზიციებს (განსაკუთრებით, მრავალმიან კულტურებში), რამდენიმე შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანის ერთობლივი ძალისხმევით;

4. არც ხალხური და არც პიპ-როკ-მუსიკოსები არ მისდევენ კლასიკურ მუსიკა-ში მიღებულ სამემსრულებო კანონს, სადაც შემსრულებლებს და მსმენელებს შორის ყოველთვის დაცულია მეაცრი ბარიერი. ხალხური და პიპ-როკ-მუსიკოსები, როგორც წესი, მისდევენ შესრულების ე.წ. „თანამონანილეობით“ მოდელს, ასე რომ სოფლელებს თავშეყრაზე და პიპ-როკ მუსიკს კენცერტებზე ხშირად ყველას შეუძლია თანამონანილეობა, სიმღერაში და ცეკვაში ჩართვა, ტაშის აყოლება, და საერთოდ, ემოციების თავისუფლად გამოხატვა (იხ., მაგ., Brown, 2014).

როგორც ვხედავთ, ბევრი ობიექტური ფაქტორი არსებობს, რომ გავამართლოთ ჯონ ლენონის სიტყვები „როკ-ენ-როლი დღევანდელი ხალხური მუსიკა“. მართლაც, პიპ და როკ მუსიკას იმდენი აქვს საერთო ხალხურ მუსიკასთან, რომ შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციული (ხალხური) მუსიკის თანამედროვე ნაირსახეობად.

ახლა კი, იმისათვის რომ მოვიძოთ თანამედროვე პიპ და როკ მუსიკის პირველადი სათავეები, გადავიდეთ მოხსენების შესავლიდან პირველ ნაწილზე, სადაც განხილული იქნება თანამედროვე პიპულარული მუსიკის ორ ჯგუფად, „პიპ“ და „როკ“ მუსიკალურ სტილებად დაყოფის თავისებურებები.

### **ნაწილი პირველი: დიქოტომია პოპულარულ მუსიკაში: პოპ-მუსიკა და როკ-მუსიკა**

თანამედროვე პოპულარული მუსიკის მთელი არსებული ნაირსახეობების ორ დიდ ჯგუფად, პოპ და როკ მუსიკალურ სტილებად დაყოფას დიდი ტრადიცია გააჩნია, თუმცა ზუსტი საზღვრები მათი შორის არასოდეს ყოფილა დადგენილი და შეთანხმებული. ამ მოხსენებაში მე ვაპირებ დავადგინო ეს საზღვრები, მაგრამ ჩემ მიერ შემოთავაზებული დაყოფა მხოლოდ ერთი შესაძლო ვარიანტია და თვით მოხსენების მიზნებიდან გამომდინარებს.

ქვემოთ მე შევცდები ჩამოვაყალიბო პარამეტრების სია, რომლებსაც შეუძლიათ დაგვეხმარონ თანამედროვე პოპულარული მუსიკა დავყოთ ორ კონტრასტულ ჯგუფად — პოპ და როკ სტილებად.

დღვევანდელი მუსიკოლოგია, როგორც წესი, პოპის და როკის კლასიფიცირებისას აკეთებს კონცენტრაციას ისეთ სუბიექტურ ელემენტებზე, როგორიცაა „აუთენტიკურობა“ და „კომერციულობა“, სადაც როკი განისაზღვრება, როგორც აუთენტიკური მოვლენა, ხოლო პოპი კი — როგორც კომერციული მოვლენა. ჩემს მოხსენებაში მე თავი ავარიდე ამ სუბიექტურ ფაქტორს და მსმენელებს ვთავაზობ რამდენიმე შედარებით ადვილად დასადგინი და ობიექტური პარამეტრის გამოყენებას.

განსხვავებები პოპ და როკ მუსიკის სტილებს შორის შეიძლება მოინახოს მრავალ ასპექტში: მელოდიკის ტიპში, სასიმღერო სტილში, პარმონიის გამოყენებაში, საკრავების გამოყენებაში, საერთო ხმოვანებაში, სიმღერის გზავნილში, შემსრულებლების ქცევაში სცენასა და ცხოვრებაში, სტილის მიმდევრების ქცევაში კონცერტებსა და ცხოვრებაში და ამ სტილის სიმღერების ზოგად პოპულარობაში.

ახლა კი ნება მომეცით ძალიან მოკლედ აღვნიშნო განსხვავებები პოპ და როკ მუსიკაში ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიხედვით:

**მელოდია.** პოპ-სიმღერების მელოდიებს აქვთ საშუალო ან ფართო დიაპაზონი და ხასიათით უფრო სასიმღეროა, მაშინ როცა როკ-სიმღერების მელოდია უმეტესად გამოირჩევა პატარა დიაპაზონით მაღალ რეგისტრში და ხშირად ნარმოადგენს ტექსტის რეიტაციას.

**სასიმღერო სტილი.** პოპ-სიმღერები იყენებენ ძალიან ფართო დიაპაზონის ემოციებს. აქ ვხვდებით ფაქტიზი სტილიდან დაწყებული აღტაცებული ყვირილით დამთავრებული. როკ-სიმღერების სასიმღერო სტილი უაღრესად დაძაბულია, აგრესიულია და ხშირად შეიცავს განრისხებულ ყვირილს.

**ჰარმონია.** პოპ-სიმღერების ჰარმონიული ენა, როგორც წესი, ეყრდნობა სრულ აკორდებს, უმეტესად სამხმოვანებებსა და სეპტაკორდებს, ზოგჯერ გამოიყენება უფრო რთული შედგენილობის ჯაზ-აკორდებიც. ჰარმონიის წამყვანი ფორმაა ჰომოფონია (მელოდიური ხაზი აკორდული თანხლებით). როკი იყენებს უფრო მინიმალისტურ ჰარმონიებს, თავს არიდებს სრულ სამბგრიან აკორდებს. სრული აკორდების ნაცვლად როკი ეყრნობა ორგბერიან ინტერვალებს, უფრო ე.წ. „წმინდა“ ინტერვალებს, კვარტებს და, განსაკუთრებით, კვინტებს. ეს ინტერვალები (რომლებშიც აღებულია აკორდის მხოლოდ ფუძე და კვინტური ბგერა) ცნობილია როგორც „კვინტაკორდი“, ან „ძალისმერი აკორდი“ (power-chord). როკში ხშირად ინტერვალიც აცილებულია და საერთოდ არაა ჰარმონია, ეს ხდება როცა ორივე მელოდიური საკრავი (სოლო და ბას გიტარები) უკრავენ ერთად მსგავს ერთხმიან მელოდიას, ანუ „რიფს“. როკში ზოგჯერ იყენებენ რთულ და სრულ აკორდებსაც, მათ შორისაა პოპულარული დისონანსური აკორდ, რომელიც შეიცავს ერთდროულად აღებულ მაჟორულ და მინორულ ტერციებს და ცნობილია სახელწოდებით „ჯომი ჰენდრიქსის აკორდი“ (დო-მი-სიბემოლი-მიბემოლი). ურთიერთობა ვოკალურ პარტიასა და საკრავიერ „რიფებს“ შორის როკ-მუსიკაში უფრო კონტრაპუნქტს ეყრდნობა, ვიდრე ჰომოფონიას;

**საკრავები.** პოპი იყენებს საკრავების დიდ მრავალფეროვნებას, დაწყებული მხოლოდ ერთი საკრავიდან (ხშირად გიტარა, ან ფორტეპიანო), და დამთავრებული ძალიან დიდი ორკესტრებით (რომლებიც შეიცავენ კლასიკურ და ჯაზის საკრავებს, როგორიცაა ვიოლინობი, საქსაფონი და ა.შ.). როკ-ანსამბლები უფრო ერთგვაროვანია და, უმეტესად, ეყრდნობა სამ საკრავს, ესენია ნამყვანი (სოლო) გიტარა, ბას გიტარა და დასარტყმები, რასაც ხმირად ემატება ცალკე მომლერალი. „დისტორტულ“ (შეცვლილი ხმის მქონე) გიტარის ტემპრი გამოიყენება როგორც პოპში, ისე როკში, თუმცა პოპში ის შედარებით იშვიათია, ხოლო როკში იგი სრულიად გაბატონებულია.

**ზოგადი ხმიანობა.** პოპის ზოგადი ხმოვანება სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ნაზიდან დაწყებული საემაოდ ხმამაღალ და ენერგიულ ხმიანობამდე, მაგრამ ის მაინც არაა გადამეტებულად მძიმე და შემაწუხებული. როკის ზოგადი ხმოვანება, როგორც წესი უალრესად ხმამაღალი და აგრესულია;

**გზავნილი.** პოპ-სიმღერების გზავნილი („იდეა“) უმეტესად პოზიტიურია. სიმღერების წამყვანი თემაა სიყვარული. საპროტესტო სიმღერებშიც კი ხმირად აქცენტი გაკეთებულია პოზიტიურ ელემენტზე. როკ-სიმღერების გზავნილი უმეტესად შეიცავს უარყოფთ ემოციებს, აგრესიას, შიშის, ძალადობას. სიყვარულის მაგივრად ლაპარაკია სექსზე, ხშირად იხსენიება ქვესკნელის ძალები, სატანა, ჯოჯოხეთი, შიში, კოშმარები, ტკივილი, სიკვდილი;

**არტისტების ქცევა.** პოპ-მუსიკოსები სცენაზე ყოფნისას უმეტესად ცდილობენ მოიქცნენ კარგად, დაწყებული ზრდილობიანი ქცევით და დამთავრებული მსუბუქი პროვოკაციული ქცევით, თუმცა, ის, თუ რას ნიშნავს „მსუბუქი პროვოკაციული ქცევა“ შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს სხვადასხვა კულტურაში. როკ-მუსიკოსები ხშირად ცდილობენ მსმენელებზე მოხხდინონ ძლიერი შთაბეჭდილება თავისი ანგი-სოლციალური ქცევით: ისინი მიმართავენ ბილბ სიტყვებს, აკეთებენ უზრდელ უსტებებს, შიშვლდებიან. ისინი ცდილობენ შექმან „ცუდი ბიჭების“ იმიჯი თავისი ყოველდღიური ცხოვრებითაც, ამიტომ ისინი ზოგჯერ ხვდებიან პოლიციაში, იყენებენ ნარკოტიკებს, მათი სიმღერები ხშირად აკრძალულია რადიო არხებზე და მათი კონცერტები ზოგჯერ უქმდება.

**მსმენელების ქცევა.** მსმენელების ქცევა პირდაპირ არის მოქცეული შემსრულებლების ქცევის გავლენის ქვეშ. პოპ-კონცერტის დროს მსმენელები უმეტესად, მღერიან და ცეკვავენ. როკ-მუსიკის მსმენელები ხშირად უფრო უხეშად იქცევიან. გარდა სიმღერისა და ცეკვისა, ისინი ენერგიულად პასუხობენ სცენიდან ნამოსულ ბილნსიტყვაობასა და საზოგადოებაში მიუღებელ უსტებებს. აგრესია ვრცელდება სცენიდან დარბაზებში, განსაკუთრებით ე.წ. „მოშპიტში“ (ესაა სცენასთან ახლოს ცეკვისათვის დატოვებული ტერიტორია). აյ ცეკვა ხდება აგრესიული, შეიცავს მოცეკვავეთა ჯაუფების აგრესიულ შეჯახებას ერთმანეთთან. საშუალო დონის ძალადობა და ჩხებები როკ მუსიკის კონცერტების მერე საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ზოგადი პოპულარობა.** მიუხედავად იმისა, რომ როკ-ანსამბლებს ყავთ ძალიან თავ-დადებული გულშემატეკივრები, მინც დიდი განსხვავება არსებობს პოპ და როკ მუსიკის ზოგად პოპულარობაში და ჩარტებში სიმღერების განთავსებაში. პოპ-სიმღერები თავისი პოზიტიური გზავნილით, როგორჩ წესი, სრულიად ბატონიბენ პოპულარობის ჩარტებში. რაც შექება როკ-სიმღერებს, უდიდესი როკ-სიმღერებიც კი იშვიათად აღწევნ მაღალ ადგილებს. მაგალითად, ლედ ზეპელინგების კლასიკური სიმღერა „სამოხეში მიმავალი კიბე“ ინგლისურ და ამერიკულ ზოგადი პოპულარობის ჩარტებში 30-ე ადგილზე მაღლა ვერ ავიდა.

იმისათვის რომ დავასრულოთ მოხსენების პირველი ნაწილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე პოპულარულ მუსიკაში შეიძლება გამოიყოს ორი ძალიან განსხვავებული სტილური კატეგორია. პირველი მათგანი პოზიტიურია, მსუბუქი, ცდილობს მსმე-

ნელი გაართოს, მოხიბლოს და მისი ალტაცება გამოიწვიოს, მეორე კი აგრესიულია, მძიმე, გამოხატავს ნეგატიურ გრძნობებს, შიშს, სიძულვილს, ცდილობს მსმენელი დაშოკოს აგრესიული ქცევით.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შესაძლო გაუგებრობა, აქ აუცილებელია ვახ-სენო, რომ ჩემი მოხსენების მიზნებიდან გამომდინარე, მე სადემარტაციოს ხაზს პოპსა და როკ სტილებს შორის ვათავსებ სპეციფიკურ ადგილას, რაშიც კოლეგები, შეიძლება, არ დამეთანხმონ. კერძოდ, ჩემთვის როკი იწყება „მძიმე მეტალის“ („ჰევი მეტალ“) სტილიდან (ლედ ზეპელინგები, ჯიმი ენდრიქსი) და გადადის კიდევ უფრო მძიმე სტილებში. „ჰევი მეტალთან“ შედარებით მსუბუქი სტილები ჩემს მოდელში ერთიანდებიან პოპ-მუსიკის სტილში. როგორც ყოველთვის, არის სიმღერები, რომლებიც ამ ორი დიდი ჯგუფის გა-საყარზე თავსდებიან, რადგან შეიცავენ ორივეს — პოპისა და როკის ნიშნებს. ასეთ სიმღერებში, როგორც წესი, გამოყენებულია პოზიტიური გზავნილი, ზოგჯერ იხმარება სრული აკორდები და ფართო დიაპაზონის მელოდიები (პოპ ელემენტები), ამავე დროს, ამ სიმღერებში ხშირია „power-chord“-ები, ბატონობს „დისტორშენის“ გიტარის ხმა, მძიმე დასარტყამი საკრავის ხმიანობა და ზოგადი მძიმე ხმოვანება. ასეთი „კომბინირებული“ სტილის პოპ-როკ სიმღერის კარგი მაგალითია, მაგალითად, ასამბლ ვან ჰალენის სიმღე-რა „ოცნებები“.

ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ „როკ მუსიკის“, როგორც მოვ-ლენის შინაარსი იცვლებოდა და დღესაც იცვლება. როკ სტილი თანდათან უფრო მძიმე, აგრესიული და ხმამაღლალი ხდება. ასე რომ, ის სიმღერები, რაც მაგალითად 60-იან წლებ-ში ითვლებოდა როკ სტილად, დღეს უდრის უფრო როგორც პოპ-სტილის სიმღერები (ასეთია, მაგალითად, როლინგ სტოუნების და განსაკუთრებით ბითლზების სიმღერების უდიდესი ნაწილი). ზოგადად რომ ვთქვათ, როკის ხმიანობა სულ უფრო და უფრო მძიმ-დება და აგრესიული ხდება, ასევე მუსიკოსების საქციელიც. როგორც კი საზოგადოე-ბაში მიუღებელი საქციელის ზოგიერთი ნორმები ხდება ასე თუ ისე მიღებული, როკ მუსიკოსები აგრძელებენ ჯერ კიდევ არსებული შეზღუდვების რღვევას, საზღვრების კიდევ უფრო შორს გადატანისთვის დაუსრულებელ ბრძოლას.

### **ნაწილი მეორე. რამდენად ღრმა არის პოპის და როკის სტილების ფესვები?**

მუსიკოლოგიაში დამკვიდრებულია ტრადიცია, რომ დაუუკავშიროთ თანამედროვე პოპ და, განსაკუთრებით, როკ მუსიკის ფესვები აშშ-ში მონებად ჩაყვანილი აფრიკელების მუსიკაურ ტრადიციებს (იხილეთ, მაგალითად, Middleton, 1972, 1990). მე სრულებით ვემხრობი ამ იდეას, მაგრამ მაინც მინდა უფრო ღრმად წავიდე თანამედროვე პოპუ-ლარული მუსიკის სტილების ისტორიული წანამძღვრების ძებნაში. კერძოდ, მე მინდა რომ თანამედროვე პოპულარული მუსიკის ორი დიდი ჯგუფის (პოპის და როკის) არსე-ბობა დაუუკავშირო პირველადი ადამიანური მუსიკის ორ ძალზე განსხვავებულ ევოლუ-ციურ ფუნქციას.

ჩემს რამდენიმე წიგნში (ჟორდანია, 2011, 2014, 2017) მე ვამტკიცებდი, რომ ადა-მიანის სიყვარული სიმღერისადმი (და, გასაკუთრებით, ჯგუფური სიმღერისადმი) არის შედეგი არა კულტურული გამოგონებისა, არამედ შედეგი ბუნებრივი შერჩევის ძალების მოქმედებისა. ჩემი მოდელის მიხედვით, ჩემი წიგნში იყენებდნენ ორი ძალიან განსხ-ვავებული სტილის მუსიკას, ორი, ასევე, განსვავებული ფუნქციისათვის. რა ფუნქციები იყო ეს:

### **მუსიკის პირველი ფუნქცია: რელაქსაცია.**

დაბალხმიანი ჯგუფური ღილინი იყო ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება, რომ შე-ქმნილიყო წყნარი და დამამჭვიდებელი ატმოსფერო ჯგუფის წევრებისათვის. ეს ასეა

ბევრ სოციალური ჯიშისა ცხოველში (ცხენებში, ძროხებში), რომლებიც ერთად ყოფნისას გამუდმებით გამოსცემენ ე.წ. „საკონტაქტო ხმებს“. ამ ხმების, ფუნქცია არის ჯგუფის წევრებს შორის გაავრცელოს შეგრძნება, რომ ყველაფერი მშვიდადაა და რომ არ არის შემჩნეული არავითარი საფრთხე მტაცებლების მხრიდან.

აღნიშნულ საკონტაქტო ხმებს აქვს, ასევე, მეორე ფუნქცია: შეატყობინოს ჯგუფის წევრებს თუ რაიმე სამიში და მოსარიდებელი გამოჩნდა. როგორ ხდება ეს? იმის მაგივრად, რომ გამოიყენონ საფრთხის სიგნალი, ბევრი სოციალური ჯიშის ცხოველი იყენებს სიჩუმეს. ადამიანის წინაპარი, რომელიც აქარად სოციალური არსება იყო, მოსალოდნელია, რომ ასევე იყენებდა სიჩუმეს საფრთხის შეტყობინებისთვის. დღესაც კი, სრული სიჩუმე ადამიანებში ქმნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და შეიძლება გამოწიოს დაუძლეველი პანიკური შიშის შეტევა. ამის გამარა, რომ ადამიანთა უმეტესობა იყენებს სხვადასხვა ხერხს (ლილის, სტენას, თითების კაუნს, საკუთარ თავთან ლაპარაკს), რომ თავიდან აიცილოს სიჩუმე სრული სიჩუმე.

აკვნის ნანა, როგორსაც მშობლები უმდერიან ბავშვებს დასაწყნარებლად, ალბათ, მუსიკის (ლილინის) სწორედ ამ უძველესი ფუნქციის მატარებელია. მე ადრევე გამოვთქვი მოსაზრება, რომ აკვნის ნანის ფუნქციას უძველეს, ჯგუფურად მცხოვრებ პომინიდებში, ალბათ, ასრულებდა ერთიანი ჯგუფური ლილინი. ერთ-ერთი მშობლის მიერ ნამდერი ნანა, როგორც ჩანს, არის შედარებით გვიანდელი მოვლენა, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც ჯგუფები დაიშალა და ადამიანებმა დაიწყეს ოჯახებად (ცხოვრება, ცალ-ცალკე საცხოვრებლებში. ნაზი მუსიკის მოსმენა ძალიან ძლიერ ფსიქოლოგიურ (დამაწყნარებელ) ეფექტს ახდენს ადამიანზე და არამარტო ბავშვებზე, არამედ მოზრდილებზეც. ბოლო წლების განმავლობაში დამაწყნარებელი მუსიკა და სიმღერა ფართოდ გამოიყენება ოფიციალურ მედიცინაში, სახელწოდებით „მუსიკალური თერაპია“. (ტრადიციულ საზოგადოებაში, როგორც ვიცით, მუსიკის ეს ძალა (ცნობილი იყო ათასობით წლით ადრე).

### **მუსიკის მეორე ფუნქცია: ბრძოლისათვის მომზადება**

მეორე და სრულიად განსხვავებული მიზანი მუსიკალური ბერების გამოყენებისა ჩვენს წინაპრებში იყო ჯგუფის წევრების მომზადება ბრძოლისათვის, მათში ჯგუფური ერთობისა და მონინაალდებისადმი აგრესის გაღვიძება, ე.წ. „საპრალო ტრანსის“ მდგომარეობის გამოწვევა. ეს მდგომარეობა სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდებოდა, როდესაც ჯგუფის წევრებს უწევდათ სასტიკი შეტაკება მტაცებლებთან ან მეტოქე ჯგუფებთან. ეს იყო სრულებით სხვა ტიპის მუსიკა, სრულებით სხვა ხმოვანებისა და სრულებით სხვა ფსიქოლოგიური ეფექტის მქონე.

ხმადაბალი ლილინისგან განსხვავებით, რაც ყოვედლური ცხოვრების ნაწილი იყო, მუსიკის ეს სტილი დიდ ენერგიას მოითხოვდა, და მეავრად იყო დააკავშირებული შედარებით ხანმოკლე რიტუალურ ქცევასთან. ეს სტილი ეყრდნობოდა უაღრესად ხმამაღალ სიმღერას დისონანსურ ინტერვალებში, დროდადრო დაძაბულ ყვირილს, ენერგიულ დამაშინებელ სხეულის მოძრაობებს (ცეკვის წინაპარი), ფეხების მინაზე დარტყმას, ტაშისა და ქვების ცემას და ყველაფერი ეს ხდებოდა მძაფრი განმეორებადი რიტმული ფორმულების თანხლებით.

ეს ხმაურიანი რიტუალი მიმართული იყო ორი მიზნისაკენ: 1. მონინაალდებების დასაშინებლად (მტაცებლების, ან მტრების — ეს იყო გარეგანი ეფექტი) და (2) რიტუალში მონაწილე ჯგუფის წევრების გასაერთიანებლად (შინაგანი ეფექტი).

**გარეგანი ეფექტის** მიზანი იყო მონინაალდებები გამოეწვია ფსიქოლოგიური შოკი აუდიო და ვიზუალური შეტევით. ახალზელანდიელი მაორის ტომის ცნობილი საპრალო ცეკვა „ჰაა“, რომელიც დღეს წარმატებით გამოიყენება ახალზელანდიელი რაგბისტების მიერ ყოველი მატჩის დაწყების წინ მონინაალდებების დასაშინებლად, ალბათ, დღეი-

სათვის ამ უძველესი საპრძოლო რიტუალის ყველაზე ფართოდ ცნობილი მაგალითია.

მეორე, **შინაგანი** და, ალბათ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ამ ჯგუფური რიტუალური ქმედებისა იყო რიტუალის მონაწილეებში „საპრძოლო ტრანსის“ მდგომარეობაში გადაყვანა. ესაა ტვინის შეცვლილი მდგომარეობა, რომელშიც მონაწილეები ჰქარგავენ შიშისა და ტკივილის შეგრძენებას, სრულებით არ ადარდებთ საკუთარი უსაფრთხოება და მოქმედებენ ჯგუფის (ოჯახის, ხალხის, რელიგიის) ინტერესბის მიხედვით, თანაც ხშირად ბრძოლის პროცესში არაბუნებრივად გაზრდილ ფიზიკურ ძალას ავლენებ (იხ. Wade, 2016).

საპრძოლო ტრანსის ფენომენი ფართოდაა ცნობილი მსოფლიოს უძველესი ლიტერატურული წყაროებიდან (გილგამეში, ოლიადა და ა.შ.) დღევანდელ დღემდე და ცნობილია, რომ თანამედროვე დასავლური სამყაროს მებრძოლები დღესაც აქტიურად იყენებენ ჯგუფურ ცეკვასა და სიმღერას საპრძოლო დავალებაზე წასვლის წინ (Pieslak, 2009). მიუხედავად ასეთი ღრმა ისტორიული ფესვებისა და მისი მნიშვნელობისა, საპრძოლო ტრანსის ფენომენი დღემდა არაა სერიოზულად გამოკვლეული.

**დაბოლოს, პატარა დასკვნა** მოხსენების ბოლოს:

ჩემს მოხსენებაში მე შევეცადე დამეკავშირებინა მუსიკის ორი ძალიან განსხვავებული ევოლუციური ფუნქცია: (1) დამაწყნარებელი ნაზი ხმით კომფორტული და უსაფრთხო ფსიქოლოგიური მდგომარეობის შექმნა და (2) ხმამაღალი ხმიერი „კედლით“ აგრესიული ხმოვანების შექმნა მოწინააღმდეგის შესაშინებლად და ჯგუფის წევრების საპრძოლო ტრანსში გადაყვანა, იყო ევოლუციური წინაპარი პოპულარული მუსიკის დღევანდელი ორი დიდი ჯგუფის — პოპ-მუსიკისა და როკ-მუსიკის სტილებისა. ამ ორი პირველადი ევოლუციური ფუნქციის გარდა მუსიკას კიდევ ბევრი სხვა ფუნქციაც უნდა ჰქონოდა (ზოგი ადრინდელი, ზოგი შედარებით გვიან შექნილი), მაგრამ მე მნიდოდა სწორედ ამ ორი პირველადი (და, ალბათ, ყველაზე ადრეული) პოლარული ფუნქციის განხილვა დღევანდელი პოპულარული მუსიკის ორი სტილის შექმნების განვითარებისას.